შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2025 წლის 24 დეკემბერი

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ. ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და დამტკიცდეს საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ‘ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 ნოებრის №13 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 010250020.35.135.016348).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **იაგო დავითაძე**

დანართი

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა

№	რანგი	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობის პირები		
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	6560
2		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	5120
3		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4640
4		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3680
5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3360
6		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	2880

საკრებულოს აპარატი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი				
1	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		1	3680
1	II	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული განყოფილების უფროსი	1	2880
3	III	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საოქმო წარმოების საკითხებში	1	2400
4	III	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საოქმო წარმოების საკითხებში	1	2240
5	II	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი საქმის წარმოებისა და საორგანიზაციო საკითხებში	1	2880
6	II	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	2240
7	III	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1	2240
8	III	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში	1	2240
	სულ	8		